ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

პროექტი

№

ქალაქი ქუთაისი 30 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №260 განკარგულების საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თეა ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი-იურიდიული განყოფილების უფროსი
მ.სვინტრაძე

ბ.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის ..... ოქტომბრის
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული
მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, სხვა სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით, მოსაზრებებსა და დასკვნებს. კომისია საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლოების საზოგადოებების ანგარიშების მოსმენას, აფასებს წარმოდგენილ ანგარიშებს და შენიშვნების/რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტის მერს, კითხვით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს და თანამდებობის პირებს, გამოითხოვს წერილობით დოკუმენტაციას, ანგარიშებსა და პასუხებს.

კომისია შედგება 11 (თერთმეტი) წევრისაგან.

2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა, განხილულია სულ 52 საკითხი, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები და შემუშავებულია დასკვნები. 2024 წლის 28 თებერვალს, კომისიამ დაამტკიცა იურიდიულ საკითხთა კომისიის 2024 წლის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და მოქნილი საქმიანობის გეგმა, რომლითაც განისაზღვრა კომისიის საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლოების საზოგადოებების ანგარიშების მოსმენა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და ყველა მათგანზე დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად მოწვეული იყო აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები. კომისიის სხდომების შესახებ ანონსი, კანონით დადგენილი წესით, საჯაროდ ქვეყნდებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, ხოლო ჩატარებული სხდომების ოქმები კანონის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, საჯარო ინფორმაციის ველში.

საერთაშორისო, ცენტრალური და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მისი არსებობის პერიოდში პირველად შეიმუშავა კომისიის 2023-2024 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობს კომისია მისი საქმიანობის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი დადგენილების პროექტები, როგორიცაა:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების ცვლილების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული საზედამხედველო ინსტრუმენტების დახვეწითა და ინოვაციური ინსტრუმენტების დამატებით საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერებას, მის სრულყოფილ და სისტემურ მოწესრიგებას.
2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი;
3. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლის შედეგადაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უფასოდ მგზავრობის უფლებით სარგებლობენ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სპეციალური სერვისების" ის თანამშრომლები, რომლებიც ქალაქში სისუფთავის შენარჩუნებაზე ზრუნავენ.

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სიის დადგენის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების, აგრეთვე მწვანე ნარგავების გაშენების, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემისა და მათი საკომპენსაციო რგვის განხორციელების წესი და პირობები.
5. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" დადგენილების ცვლილების პროექტი, რომელიც საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ერთობლივ მონაწილეობას უზრუნველყოფს.
6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" დადგენილების ცვლილების პროექტი, რომლის შედეგადაც გაიზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შედეგად მიღებული შემოსავალი.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა კომისიამ მოისმინა:

1. ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების" 2023 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გაწეული სამუშაოსა და 2024 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიში;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების დამოუკიდებელი კომისიის საქმიანობის ანგარიში;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი კომისიის საქმიანობის ანგარიში;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გამოჩენილ პირთა პატივგების კომისიის საქმიანობის ანგარიში;
5. შპს "პარკინგსერვისი"-ს მიერ 2023 წელს გაწეული სამუშაოსა და 2024 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიში;
6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქ.ქუთაისის მადლიერების სახლის“ მიერ 2023 წლიდან 2024 წლის ივნისამდე გაწეული სამუშაოსა და 2024 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ანგარიში;
8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ;
9. პირის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ;
10. „2024–2025 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ ანგარიში.

ქ. ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებულმა შპს ქუთაისლიფტმა კომისია ანგარიში წარმოუდგინა წერილობითი ფორმით

კომისიის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების ფარგლებში შემუშავებული და ადრესატთან გაგზავნილ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია დისციპლინური წარმოების კომისიის, მისი საქმიანობის, წარმოების დაწყების საფუძვლებისა და შედეგების შესახებ;
2. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურისათვის იურიდიული განყოფილების მიერ მიწოდებული პასუხი/კონსულტაცია/დასკვნა გათვალისწინებული იქნას სამსახურის

მიერ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და მოქალაქისათვის პასუხის დაბრუნების დროს.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის გამოჩენილ პირთა პატივგების კომისიას მიეცეს რეკომენდაცია გამოვლენილ იქნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბჭოთა სიმბოლიკის მქონე ობიექტები და მიენიჭოს ამ გეოგრაფიულ ობიექტებს გამოჩენილი, ღვაწლმოსილი ქართველებისა თუ ქუთაისელების სახელები.
4. მომზადდეს დოკუმენტი - საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ 2023 წლის 18 აპრილს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მომზადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და მწვანე ნარგავების გაშენების, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემისა და მათი საკომპენსაციო რგვის განხორციელების წესის და პირობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებში, მათ შორის „USAID-ის“ „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ განხორციელებაში. კომისიის თავმჯდომარე და წევრები უშუალოდ მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ეგერია სოლუშენს“-ის პროექტში, სახელწოდებით „საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლის ფარგლებშიც გაიარეს ტრენინგი „საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების განვითარება.“

თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე